ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №801

21 აპრილი 2016 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 31 დეკემბრის №2214 ბრძანებით განსაზღვრული, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების სააუქციონოდ მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2016 წლის 07 აპრილის №3301-02 რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა დანართი N1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში (რუსთავი, ბოსტან–ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით მაღლაკელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

				დანართი #1
N	**საკადასტრო კოდი**	**მისამართი**	**ფართობი (კვ/მ)**	**ზონალობა**
1	02.01.05.876	ქალაქი რუსთავი , მიკრო/რაიონი XXI , მიმდებარე ტერიტორია	8473	სზ3 (საპროექტო)
2	02.02.07.053	ქალაქი რუსთავი , მიკრო/რაიონი XVI , მიმდებარედ	222	სსზ3
3	02.02.05.411	ქალაქი რუსთავი , მიკრო/რაიონი XI , სანაპიროს ქუჩის მიმდებარედ	2041	სზ2 (საპროექტო)
4	02.07.02.923	ქალაქი რუსთავი , ქუჩა დავით გარეჯი , მიმდებარე ტერიტორია	1521	ს1